ბრძანება:**ბ01.01220635**
თარიღი:**04/03/2022**
პინი:**7456**
გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

**,,ქალაქ თბილისში, სოფელი დიღომში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.035.761, N01.72.14.035.762) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის, როგორც მრავალფუნქციური კომპლექსის ერთ - ერთი შემადგენელი ნაწილის არაუმეტეს შენობის საერთო ფართობის 60%-ის განთავსების მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის თაობაზე " ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 22 მარტის Nბ01.01210817 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის მე-2 და მე-9 პუნქტებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ N01220493332-67 განცხადებასთან დაკავშირებით მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. ,,ქალაქ თბილისში, სოფელი დიღომში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.035.761, N01.72.14.035.762) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის, როგორც მრავალფუნქციური კომპლექსის ერთ - ერთი შემადგენელი ნაწილის არაუმეტეს შენობის საერთო ფართობის 60%-ის განთავსების მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 22 მარტის Nბ01.01210817:

**ა) ბრძანების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

,,ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, ვეფხისტყაოსნის ქუჩა N22, N24-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.035.963) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის, როგორც მრავალფუნქციური კომპლექსის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილის, არაუმეტეს შენობის საერთო ფართობის 90%-ის განთავსების მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის თაობაზე"

**ბ) ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, ვეფხისტყაოსნის ქუჩა N22, N24-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.035.963) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის, როგორც მრავალფუნქციური კომპლექსის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილის, არაუმეტეს შენობის საერთო ფართობის 90%-ის განთავსების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება."

**გ) ბრძანებას დაემატოს შემდეგი შინაარსის $1^1$, $1^2$,$1^3$ და $1^4$ პუნქტები:**

„$1^1$. მაკომპენსირებელ ღონისძიებად განისაზღვროს საპროექტო არეალში/ საპროექტო შენობა-ნაგებობაში არსებული საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტისთვის საკუთრებაში გადაცემა ე.წ. თეთრ კარკასულ მდგომარეობაში“.

„1[2]. საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ფართობი განისაზღვროს აღნიშნული ფუნქციური ზონისათვის კანონმდებლობით დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ნამატი საცხოვრებელი ფუნქციის საანგარიშო ფართის 4%-ის ოდენობით (დამრგვალდეს საპროექტო ობიექტის არქიტექტურული პროექტით გათვალისწინებული ერთეულების გეგმარების შესაბამისად არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით), არანაკლებ 50 კვ.მ.-სა.

,,1[3]. ნამატი საცხოვრებელი ფუნქციის ოდენობად განიხილება სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით დადგენილსა და მოთხოვნილ ფუნქციურ პროცენტულობას შორის არსებული სხვაობა,

„1[4]. დაინტერესებულ პირს დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს მშენებლობის ნებართვის გაცემის მიზნით წარუდგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან - ქონების მართვის სააგენტოსთან გაფორმებული ხელშეკრულება ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული უძრავი ქონების გადაცემის თაობაზე.‘‘

2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ N01220493332-67 განცხადებასთან დაკავშირებით მომზადებულ დასკვნასთან ერთად.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე - მერს) ირაკლი ხმალაძეს.

4. ამ ბრძანების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **დ16.01220632**
თარიღი: **04/03/2022**
პინი: **1049**
გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

# დასკვნა

## სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის თაობაზე

| | |
|---|---|
| **შედეგი:** | თანხმობა |
| **განაცხადი** | |
| **განცხადების ნომერი:** | 01220493332-67 |
| **განცხადების თარიღი:** | 18/02/2022 |
| **ნომენკლატურა :** | სპეციალური (ზონალური) შეთანხმება სპეციალური (ზონალური) შეთანხმების თაობაზე მერის ბრძანებაში ცვლილება / |
| **მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი** | |
| **საკადასტრო კოდი :** | 01.72.14.035.963 |
| **მისამართი :** | ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ვეფხისტყაოსანის ქუჩა, N 22, N24 |
| **მესაკუთრეები :** | შპს "სითი კომფორტი", ვარლამ ცეკვავა, |
| **განმცხადებელი-დამკვეთი** | |
| **განმცხადებელი :** | ვარლამ ცეკვავა |
| **პირადი ნომერი :** | 01805046066 |
| **მისამართი :** | თბილისი მცხეთის გას. N 13 |
| **დამკვეთის ინფორმაცია :** | |
| **დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი :** | ვარლამ ცეკვავა |
| **საჭიროების შემთხვევაში მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების რეკვიზიტები :** | |
| **აქტის ნომერი :** | 5593616 |
| **ტერიტორიის გამოყენების სახეობა და არსებული ან მინიჭებული პარამეტრები :** | |
| **ტერიტორიის გამოყენების სახეობა :** | მრავალფუნქციური შენობა |
| **კ - 1 :** | 0.5 |

| | |
|---|---|
| **კ - 2 :** | 3.5 |
| **კ - 3 :** | 0.3 |
| **მოთხოვნილი განაშენიანების კოეფიციენტი - კ - 1 და ინტენსივობის კოეფიციენტი - კ - 2 :** | |
| **კ - 1 :** | 0.5 |
| **კ - 2 :** | 3.5 |
| **მოთხოვნის შინაარსი :** | |
| **მოთხოვნის ტექსტი :** | გთხოვთ შეგვიცვალოთ |
| **განმარტებითი ბარათი :** | |
| **განმარტებითი ბარათის ტექსტი :** | საპროექტო ტერიტორიაზე მოხდა სპეციალური (ზონალური) შეთანხმება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტთან (დოკუმენტის # 01210574084-67 თარიღი 02.26.2021წ) რომლის მიხედვითაც საპროექტო ტერიტორიის 40%-ს მიენიჭა საზოგადოებრივ/საოფისე ფუნქცია და 60%-ს საცხოვრებელი ფუნქცია. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის დადგენილება 14-39-ში 2022 წლის 15 თებერვალს შეტანილი ცვლილების 16(1) მუხლის საფუძველზე გვსურს საცხოვრებელი ფუნქციის გაზრდა 90 %-მდე (9145 მ2), ამავე დებულების 16(2)2 მუხლის თანახმად თბილისის მუნიციპალიტეტს მაკომპენსირებელ ღონისძიებად საკუთრებაში გადაეცემა საცხოვრებელი ბინა ერთეული/ერთეულები განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტებით ნამატი ფართის 4% (122 მ2). დამატებით გაცნობებთ საპროექტო მიწები გაერთიანდა და ამჟამად რეგისტრირებულია ერთიანი საკადასტრო კოდით 01.72.14.035.963. წინასწარ გიხდით მადლობას. |
| **გადაწყვეტილება :** | |
| **საპროექტო ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :** | მრავალფუნქციური შენობა ( საცხოვრებელი 90%, კომერციული 10%) |
| | ადმინისტრაციული წარმოების პროცესში დადგინდა, რომ ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის თანახმად, დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 01.72.14.035.963 ფართობი 2892.0კვ.მ.) ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა-1 (სსზ-1) და სატრანსპორტო ზონა-1 (ტზ-1).<br><br>„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-15 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, თუ მიწის ნაკვეთი ხვდება ერთზე მეტი კონკრეტული ფუნქციური ზონის მოქმედების არეალში, მაშინ მისი სამშენებლოდ განვითარების განსაზღვრისას არც ერთი ზონის მოთხოვნა არ უნდა დაირღვეს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ერთ-ერთი ზონის ფართობი შეადგენს არანაკლებ მიწის ნაკვეთის ¾-ს, ასეთ შემთხვევაში მოქმედებს ამ ზონისთვის განსაზღვრული მოთხოვნები, რზ-1-ის რეგლამენტების მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული რეგულირება არ ვრცელდება განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში სამშენებლოდ განვითარებისას.<br><br>„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის "რ" ქვეპუნქტის შესაბამისად, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1) არის საშუალო ინტენსივობის შერეული საზოგადოებრივ-საქმიანი ქვეზონა, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში (მათ შორის გკ-ზე) არსებულ/დაგეგმილ საზოგადოებრივი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს.<br><br>იმავე განაშენიანების რეგულირების წესების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის "რ" ქვეპუნქტის მიხედვით, საზოგადოებრივ - საქმიან ზონა 1-ში (სსზ-1) განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს ობიექტები საზოგადოებრივი დანიშნულების ფუნქციებით; დასაშვებია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის ფუნქციონირების უზრუნველმყოფი საცხოვრებელი შენობების/სამყოფების, როგორც არადომინირებული სახეობის არსებობა, არაუმეტეს შენობა-ნაგებობის/საპროექტო გადაწყვეტის საერთო ფართობის 25%-ისა, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე კი არაუმეტეს |

| | |
|---|---|
| **გადაწყვეტილების დასაბუთება :** | - 90%-ისა და დადგენილია განაშენიანების რეგულირების შემდეგი პარამეტრები:<br><br>საზოგადოებრივ-საქმიანიზონა-1 (სსზ-1)<br><br>მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი კ-1=0.5*/0.7<br><br>მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი კ-2=3.5<br><br>მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი კ-3=0.2/0.3*<br><br>მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობი - 600/700*<br><br>მიწის ნაკვეთის მინიმალური სიგანე - 15/20*<br><br>მიწის ნაკვეთის მინიმალური სიღრმე - 25/30*<br><br>*მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის ან მრავალბინიანი საცხოვრებელი ფუნქციის შემცველი მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობისათვის<br><br>დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით საპროექტო მიწის ნაკვეთზე ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონირების თანახმად ვრცელდება გეგმარებითი კარკასი (გკ)-დედაქალაქის და პერიფერიული ზონა, ქალაქის მატერიალური გარემოს ათვისების მაღალი ხარისხის, სხვადასხვა დანიშნულების ობიექტების კონცენტრაციის, ტერიტორიების გამოყენების ინტენსივობის, არქიტექტურულ-ქალაქთმშენებლობითი ანსამბლებისა და მოცულობითი აქცენტების, საზოგადოებრივი ცენტრების - აქტიური საცხოვრებელი და საზოგადოებრივი გარემოს არსებობის ნიშნით გამოყოფილი სტრუქტურული ელემენტი, რომელიც ყალიბდება საერთო საქალაქო მნიშვნელობის უწყვეტი და რეგულირებადი, აგრეთვე რაიონული მნიშვნელობის სატრანსპორტო - ფეხმავალი მაგისტრალებისა და ქუჩების გასწვრივ და რომელიც, როგორც წესი, მოიცავს ნაკვეთების პირველ რიგს, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტებით.<br><br>საპროექტო მიწის ნაკვეთზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 22 მარტის ბ01.01210817 ბრძანებით, ქალაქ თბილისში, სოფელი დიღომში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.035.761, N01.72.14.035.762) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის, როგორც მრავალფუნქციური კომპლექსის ერთ - ერთი შემადგენელი ნაწილის არაუმეტეს შენობის საერთო ფართობის 60%-ის განთავსების მიზნით, გაიცა სპეციალური (ზონალური) შეთანხმება. აღნიშნული აქტის გამოცემის ეტაპზე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საცხოვრებელი ფუნქციის მაქსიმალური პროცენტულობა განისაზღვრა 60%-ით. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 13 სექტემბრის № 5593616 ბრძანებით მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის განთავსების მიზნით დადგინდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.<br><br>დღევანდელი მდგომარეობით, მოთხოვნილია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 22 მარტის ბ01.01210817 ბრძანებაში ცვლილების განხორციელება, კერძოდ, მრავალფუნქციურ შენობაში ფუნქციების პროცენტულობის დაკორექტირების კუთხით, რაც გულისხმობს მთლიანი მოცულობის 90%-ის საცხოვრებელი ფუნქციით განვითარებას. ამასთან, არსებული მდგომარეობით, მოხდა საპროექტო მიწის ნაკვეთების გაერთიანება, შესაბამისად, მოთხოვნილია განახლებული საკადასტრო მონაცემების დაფიქსირება.<br><br>„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებულ წესების მე-16 პრიმა მუხლის თანახმად, საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 1-ში (სსზ-1) საცხოვრებელი ფუნქციის დასაშვები პროცენტულობის გადამეტებისთვის მაკომპენსირებელ ღონისძიებად განისაზღვრა საპროექტო არეალში/საპროექტო შენობა-ნაგებობაში არსებული საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის საკუთრებაში გადაცემა ე.წ. თეთრ კარკასულ მდგომარეობაში. საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ფართობი განისაზღვრა აღნიშნული ფუნქციური ზონისათვის კანონმდებლობით დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ნამატი საცხოვრებელი ფუნქციის საანგარიშო ფართის 4%-ის ოდენობით (დამრგვალდეს საპროექტო ობიექტის არქიტექტურული პროექტით გათვალისწინებული ერთეულების გეგმარების შესაბამისად არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით). იმ ობიექტებზე, სადაც გაცემულია სპეციალური (ზონალური) შეთანხმება, საცხოვრებელი ფუნქციის დასაშვები პროცენტულობის გადამეტებასთან დაკავშირებით და მასში საცხოვრებელი ფუნქციის პროცენტულობის ცვლილებაზე მოთხოვნას წარადგენს განმცხადებელი, გავრცელდეს ამ მუხლით განსაზღვრული პირობები. საცხოვრებელი ფუნქციის დასაშვები პროცენტულობის გადამეტების თაობაზე გაცემულ სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებაში საცხოვრებელი ფუნქციის პროცენტულობის ცვლილების თაობაზე მოთხოვნის წარდგენისას, ნამატი საცხოვრებელი ფუნქციის ოდენობად განიხილება სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით დადგენილსა და მოთხოვნილ ფუნქციურ პროცენტულობას შორის არსებული სხვაობა. |

| | |
|---|---|
| | 2022 წლის 18 თებერვალს წარმოდგენილი N01220493332-67 განცხადებით, დაფიქსირებულია დადებითი პოზიცია განაშენიანების რეგულირების წესებით განსაზღვრული რაოდენობის საცხოვრებელი ფართის, მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით გადაცემის შესახებ.<br><br>საკითხი კომპეტენციის ფარგლებში განხილულ იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა, რომელმაც 2022 წლის 28 თებერვლის 01220591229 წერილით, დააფიქსირა დადებითი პოზიცია. |
| **დასკვნა :** | „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებაზე გადაწყვეტილებას იღებს თბილისის მუნიციპალიტეტის მერი, ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართული სტრუქტურული ერთეულების/ადმინისტრაციული ორგანოების დასკვნის საფუძველზე.<br><br>საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილება ან დამატება შეიტანება ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და გამოცემისათვის დადგენილი წესით.<br><br>ვინაიდან, საპროექტო წინადადებით გათვალისწინებული განვითარება არ იქონიებს მკვეთრ ზეგავლენას აღნიშნულ გარემოზე, ამასთან, მოთხოვნილი ფუნქციის განვითარებაზე ერთხელ უკვე დაფიქსირებულ იქნა დადებითი პოზიცია, სააგენტოს დასაშვებად მიაჩნია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 22 მარტის ბ01.01210817 ბრძანებაში ცვლილების განხორციელება, კერძოდ პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ქალაქ თბილისში, სოფელი დიღომში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.035.963) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (90%), როგორც მრავალფუნქციური კომპლექსის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილის განთავსების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება.“ ასევე დაემატოს შესაბამისი პუნქტები მაკომპენსირებელ ღონისძიებასთან დაკავშირებით.<br><br>გათვალისწინებულ იქნეს: მშენებლობის ნებართვის გაცემის სტადიაზე, უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრის ამონაწერში დაფიქსირდეს ვალდებულება: შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ პერიოდში შენობა-ნაგებობაში არსებული ფართის დანიშნულების უცვლელად შენარჩუნების პირობით. |

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

სააგენტოს უფროსი